

# “თუ ღირსებას არ დავკარბავთ, საქართველო არ არის დაკარბული”

გაზეთი “ახალი თაობა” – 12 აგვისტო, № 221, 2008

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეფასებდით საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და რამდენად შესაძლებელი იყო დროის ამ მონაკვეთში რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყება?

– ის, რომ საქართველო მოხვდა რუსეთის სამხედრო აგრესიის ქვეშ, ეს ყოველთვის მოსალოდნელი იყო. ჩვენ ამას ყოველთვის ვგრძნობდით. თავის დროზე ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ის კონფლიქტები, რომლებიც პროვოცირებული იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ორგანიზებული იყო რუსეთის მიერ. შემდეგ, როდესაც იგივე რუსებმა ცისფერი ჩაფხუტები დაიხურეს, ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ესენი იყვნენ “კრავის კურქში გაახვეული მგლები”. როდესაც ამ რეგიონებში დაარიგეს პასპორტები და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებნი გახადეს რუსეთის მოქალაქეები, ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა საქართველოს ანექსიისა. ასე, რომ ამ ხნის განმავლობაში “ცივი ომი” ისედაც გვქონდა რუსეთთან. ეს “ცივი ომი” ხანდახან “ცხელდებოდა” კიდევ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე ბომბებს ყრიდნენ. გავისხენოთ იგივე პანკისის ხეობის მოვლენები. ასე, რომ ჩვენ რუსეთთან სულ ცოტა “ცივ ომში” ვართ დაწყებული 1989 წლიდან. ხოლო “ცივი ომი” ყოველთვისაა შესაძლებელი სრულფასოვან ომში გადაიზარდოს და ეს, სამწუხაროდ, მოხდა კიდევ. იმავდროულად წლების განმავლობაში ჩვენ გარკვეულად ილუზიებშიც ვიყავით, მაინც იმედი გვქონდა, რომ რუსეთი მართლმადიდებლური სახელმწიფოა, იქ არის გონიერი ინტელიგენცია და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მანქანა ომს ვერ გაბედავდა. მხედველობაში მაქვს პრეზიდენტი პუტინი. საერთოდ ყოფილ პრეზიდენტებსაც პრეზიდენტს

ეძახიან, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორია, რომ ვთქვათ, რუსეთის პრეზიდენტი არის პუტინი. ისე კი ერთი თანამედროვე რუსული ხუმრობა მახსენდება: “მედვედევი პუტინთან პრეზიდენტად მუშაობს”.

კონკრეტულად იმას, რაც ამ დღეებში ხდება, ამას ნამდვილად არ ველოდი. თუმცა უკვე ნიშანდობლივი იყო, როცა კოკოითის გარემოცვამ გამოაცხადა ასეთი რამ, რომ ცხინვალის დაცლა დაიწყეს ქალებისგან და ბავშვებისგან. დაცლა რომ დაიწყეს, ეს უკვე სერიოზული ნიშანი იყო, რომ პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ. მოხდა პროვოკაცია და საბოლოო ჯამში ამ პროვოკაციამ გამოიწვია ის, რომ ქართველებმა დაიწყეს თვისი ტერიტორიის დაცვა, ხოლო რუსეთმა დაუფარავი აგრესია. ჩვენ ყველამ კარგად დავინახეთ, რომ იბომბება არა მხოლოდ კონფლიქტის ზონა, არამედ მისი მიმდებარე ტერიტორია და ის ტერიტორიები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ ცხინვალის რეგიონთან. ეს არის აშკარა აგრესია რუსეთის მხრიდან. რუსეთმა გადაწყვიტა, რომ “ცივი ომიდან” გადასულიყო ნამდვილ ომზე. გაეროში რუსეთის ელჩი ვიტალი ჩურკინი უტიფრად აცხადებს ასეთ რამეს, ეს ვითომ არის ქართველების მიერ ოსების მიმართ მოწყობილი გენოციდი, რაც აბსოლუტური სისულელეა. მოდით ვთქვათ, ოსები მარტო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ საქართველოში? ეს, რომ გენოციდი იყოს ოსების მიმართ, მაშინ დაიწყებოდა საყოველთაო დევნა ყველა ოსის მიმართ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა პრობლემა ეთნიკური ნიშნით და არა კონკრეტულ ლოკალურ ტერიტორიაზე, სადაც არანაკლები რაოდენობის ქართველები ცხოვრობდნენ და არანაკლებ დაზარალებდნენ. ის ოსები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში, არ არიან ქართველებისგან შევიწროებული.

– რაში აწყობდა რუსეთს ამ აგრესიის დემონსტრირება?

– რუსეთს აწყობს იმის დემონსტრირება, რომ მას ანგარიში გაუწიონ. საქართველო არის ის სადემონსტრაციო პოლიგონი, რომელზეც რუსეთს აქვს სურვილი მთელ მსოფლიოს აჩვენოს თავისი “კუნთები”. რუსეთს უნდა თქვას, შეხედეთ რა ძლიერი ვარ, ქართველი ერი დავაჩოქე. უფრო მეტიც, პუტინმა რამდენიმე დღის წინ ასეთი განცხადებაც გააკეთა, რომ ის ყოველთვის იყო

კავკასიაში მშვიდობის გარანტი, არის დღესაც მშვიდობის გარანტი და ხვალაც იქნება მშვიდობის გარანტი. განა ცინიზმი არ არის, როცა ის აცხადებს, რომ როცა მშვიდობიან მოსახლეობას დახოცავ, ეს არის “ომი მშვიდობისათვის”. რუსეთს არ მოსწონს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ეს ცუდია თუ კარგი? მე ვფიქრობ, ძალიან კარგია. რუსეთს არ მოსწონდა ელუარდ შევარდნაძე და მას აბრალებდა საბჭოთა კავშირის დაშლას, რუსეთს არ მოსწონდა ზვიად გამსახურდია, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მყოფი სამი პრეზიდენტიდან მას არც ერთი არ მოსწონდა. რა, რუსეთს როგორი პრეზიდენტიც მოეწონება, ისეთი უნდა ყავდეს საქართველოს? ასეთი პრეზიდენტი, პირობითად “სერგო ორჯონიკიძე”, სულ არ სჭირდება საქართველოს. აქედან გამომდინარე, ეს არგუმენტი, რომ მათ არ მოსწონთ სააკაშვილი, მიუღებელია.

– ბატონო ლადო, ამ ომში რუსეთის მხრიდან პიროვნული ინტერესიც იკვეთება?

– უფრო მეტიც, ჩურკინს არც დაუმალია და არ დაგავიწყდეთ, რომ დიპლომატიური გამოცდილების მქონე ელჩები თვითშემოქმედებით არ გამოირჩევიან. თანაც რუსეთს საკმაოდ ძლიერი დიპლომატიური კორპუსი ყავს, კარგად მომზადებული. ამიტომ, როცა ჩურკინი გაეროს ტრიბუნიდან აცხადებს, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, აქ უკვე რაზეა საუბარი. ახლა არ არის დრო იმის განსკჯისა, ჩვენი მხრიდან როდის რა შეცდომა იქნა დაშვებული. რა თქმა უნდა შეცდომები იყო. დრო მოვა და ამაზე ვისაუბრებთ, მაგრამ დღეს ამის დრო არ არის. დღეს არ დგას საკითხი: ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი პარლამენტი, ჩვენი მთავრობა. დღეს დგას საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა. სამივე ეს კი სახელმწიფოს ატრიბუტებია!

– რამდენად შესაძლებელია დაკარგული ტერიტორიების მოცულობა გაიზარდოს? ზოგიერთი ფიქრობს ცხინვალთან ერთად შეიძლება ზუგდიდიც დაიკარგოსო.

– რა თქმა უნდა თეორიულად არაფერია გამორიცხული. თეორიულად არც ის არის გამორიცხული ბომბები თბილისის შუაგულშიც ჩამოყარონ და მთელი საქართველო დაგვარგოთ. არ მინდა მოსახლეობაში პანიკის განწყობა შეიქმნას.

არც არაფერი არ არის დაკარგული. მთავარია ქართველმა ხალხმა არ დაკარგოს ღირსება. თუ ღირსებას არ დაგვარგავთ, საქართველო არ არის დაკარგული, როდესაც ღირსებას დაგვარგავთ, დაგვარგავთ საქართველოს ყველა ტერიტორიას. ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, ვერ ვაკონტროლებდით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ საქართველოს არ ჰქონდა ღირსება დაკარგული. მე არ ვიცი ეს ომი როგორ დასრულდება იმიტომ, რომ რუსეთის აგრესია ძალიან არაპროგნიზირებადია. რუსეთს რომ მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს და სამწუხაროდ როკის გვირაბი რომ არსებობს, საიდანაც მარშით შეუძლია რუსეთს სამხედრო ტექნიკა გადმოისროლოს, ეს ფაქტია. რა ვქნათ? ეს შეცდომა თავის დროზე იქნა დაშვებული: ვინც როკის გვირაბს აკეთებდა ალბათ საერთოდ არ უფიქრია, რომ გავიდოდა წლები და შემდეგ ეს გვირაბი იქნებოდა საქართველოსთვის “ყელში დანის გამოსმის” საშუალება. ეს გვირაბი რომ არ არსებობდეს, ხომ წარმოგიდგენიათ ასე ფართომასშტაბიან აგრესიას სახმელეთო ჯარებით ვერ განახორციელებდა, იქნებოდა მხოლოდ საჰაერო თავდასხმები. მე დრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენმა ერმა უნდა შეინარჩუნოს პირველ რიგში ღირსება, რომ ისინი არიან ქართველები და ამ სახელმწიფოს შვილები.

**– შესაძლებლად გეჩვენებათ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევით რუსეთის უკან დახევა?**

– მე პესიმისტურად არა ვარ განწყობილი. კონფლიქტი გადაიზარდა ე.წ ქართულ-ოსურ და არა ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებიდან (რისი გაპიარების ხელშეწყობა ხდებოდა რუსეთის მხრიდან) რუსულ-ქართულ კონფლიქტში. დღეს უკვე სახეზეა, რომ რუსეთი არის კონფლიქტის მხარე და თანაც აგრესიული. რეალურად ის, რომ დღეს ამერიკელები ან ევროპელები საქართველოში გამოგზავნიან თავის სამხედრო ძალებს ჩვენი მხარდაჭერისათვის, ეს გამორიცხებულია. მაგრამ ყველა ვხედავთ, რომ მაქსიმალურად ამოქმედდება დიპლომატიური არხები. ევროკავშირს დღეს ხელმძღვანელობს საფრანგეთი და პრეზიდენტ სარკოზის ჩარევა კონფლიქტის მოგვარებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, რომ გარკვეული, უწინარესად ევროპული ძალები გამოჩნდება ახალ სამშვიდობო კონტიგენტში. რუსები ალბათ არ დაუშვებენ,

რომ ეს იყოს ამერიკული ძალები, მაგრამ ევროპულ ძალებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ინიციატივას, რომელიც უკვე იტალიამ გამოთქვა. იტალიელებმა უკვე დააყენეს საკითხი, რომ სამშვიდობო ძალების ფორმატში ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა, თუ ფრანგები მიიღებენ მონაწილეობას. ამდენად ევროპული ძალები შეიძლება ჩადგინდნენ გამშველბლების როლში. ეს რა თქმა უნდა გარკვეულწილად მოსალოდნელია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ ამ ომიდან გამოვიდეთ ისე, რომ ქართული ჯარი და ძირითადი შეიარაღება შევინარჩუნოთ. ვიმეორებ, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ჩვენს სხვა მეზობელს არ მიეცეთ დამატებითი სტიმული, რომ პროვოკაციები დაიწყონ საქართველოში: რომ არ ჩათვალონ, რომ საქართველო იმდენად დასუსტებულია, რომ სხვა მხრიდანაც შეიძლება მას შეეუტიოთ. ამიტომ დღეს ჩვენში ჯარი, რომელმაც საკმაოდ კარგი მზადყოფნა აჩვენა, აუცილებელია შევინარჩუნოთ.

**- ბატონო ლადო, ისეთი ინფორმაციებიც უღერდება, თითქოს, საქართველოს შემდეგ რუსეთმა შეიძლება აგრესია უკრაინაზეც მიიტანოს. იგივე იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც უკრაინამ საქართველოს დაანახა.**

- უკრაინა გამორიცხულია მისი მასშტაბების გამო. უკრაინას ძლიერი სამხედრო შეიარაღება აქვს. მისი სამხედრო პოტენციალი ბევრად უფრო დიდია და ისინი ჰაერიდანაც უკეთესად არიან დაცული. უკრაინის მოსახლეობა ლამის 50 მილიონია. მე აღფრთოვანებული ვარ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, რომ თუ სევასტოპოლიდან გამოსული ფლოტი მიიღებს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას, მაშინ ისინი პორტს დაუკეცავენ. არ ვიცი ყუველაფერი როგორი სცენარით განვითარდება, მაგრამ ეს არის უკრაინის ხელმზღვანელობის ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპული გადაწყვეტილება.

**- რა ბედი ელით ასეთ ვითარებაში რუსეთში მეოფ ასიათასობით ქართველს?**

- უკვე ცუდი სიმპტომები გაჩნდა, ქართველებს უჭირთ უკვე იქ ყოფნა, ეს ფაქტია. ჩემი ინფორმაციით რამდენიმე ქართველი ქართველობის გამო დაშავდა კიდევ. თუმცა ეს ახალი არ არის, გვახსოვს, რო 2006 წელსაც იყო ქართველების დევნა რუსეთში. მაშინ ხომ ომი არ იყო.

- რუსები თავიანთ გამოსვლებში ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ ქართველ ხალხთან მათ პროტენზიები არ ჰქონდათ.

- ამ ყველაფერს ჰქვია “ნიანგის ცრემლები”.

- რაზე მითითებს პუტინის განცხადება, რომ რუსეთი საწყის ეტაპზე ცხინვალის აღსადგენად 10 მილიარდ რუბლს გამოყოფს?

- მოდით ვთქვათ, რამდენია 10 მილიარდი რუბლი. ეს არის 400 მილიონი დოლარი. ჩვენ გამოვეყოფთ 500 მილიონ დოლარს. რა ვაჭრობას ხომ არ დავიწყებთ, აუქციონზე ვართ? იცით, რომ ყოველთვის ვაკრიტიკებდი ჩვენს მთავრობას ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით, რადგან მთავრობა არ იძახდა რისთვის სჭირდებოდა ეს თანხა. დღევანდელ ვითარებაში კი ფაქტია, რომ გვაქვს 500 მილიონი დოლარი. ფული საძებნელი არ არის.

- ანუ ფიქრობთ, ბატონო ლადო, რომ საქართველოს მთავრობა შეძლებს ცხინვალის აღდგენას?

- რა თქმა უნდა.

- თქვენი აზრით საომარი ოპერაციები დროში გაიწელება?

- ალბათ არ გაიწელება. საკმაოდ სერიოზულია აქტიურობა, რომელსაც ამჟღავნებენ ევროკავშირის სახელმწიფოები. პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა. რა თქმა უნდა, ბალტიისპირეთის ქვეყნები მცირე სახელმწიფოები არიან, მაგრამ ისინი ევროკავშირის წევრები არიან და პოლონეთთან ერთად აშკარად და დაუფარავად მხარს უჭერენ საქართველოს. შეუძლებელია, რომ ამას არ მოყვეს რეაგირება თვითონ ევროკავშირში. საფრანგეთიც აქტიურად არის ჩართული ამ მოლაპარაკებებში. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დიპლომატიური არხებით მოხდება მაქსიმალური ჩარევა, მაგრამ ჩემი აზრით, რუსეთის ამბიციები დაკმაყოფილდება მაშინ, თუ ღმერთმა არ ქნას და ზემო აფხაზეთი დაეცა. თუმცა რუსეთმა შეიძლება არც ეს იკმაროს... უნდა ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რუსეთი გამოდის როგორც აგრესორი და შერცხვენილი. ვხედავთ რამხელა მხარდაჭერა აქვს საქართველოს მსოფლიოში.

ყველა იმ ადამიანს მივმართავ, ვინც ჩვენი ხელისუფლების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი, საქართველოს თვითმფრინავებს არ დაურღვევიათ რუსეთის საჰაერო სივრცე; ჩვენი ჯარები არ შესულან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე; ანუ ჩვენ არ დაგვიწყია არავის მიმართ აგრესია. სხვა თუ არაფერი ეს იყო ჩვენი ჯარების გადაადგილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. თუ მას ესვრიან, ის მოვალეა დაამყაროს წესრიგი. ის, რაც რუსეთმა ჩეჩნეთში გააკეთა, რუსული მორალის მიხედვით თურმე სწორი იყო. საქართველოს ხელისუფლებას, რომ უნდოდა, რომ თავის ტერიტორიაზე წესრიგი აღედგინა, ეს თურმე დანაშაულია. თუ გენოციდზეა საუბარი, პირველ რიგში რუსების მხრიდან უნდა ვილაპარაკოთ გენოციდზე ჩეჩნებთან მიმართებაში.

**– პუტინისა და მედვედევის საუბარში გამოიკვეთა, რომ გარკვეული ქართველი მაღალჩინოსნების მიმართ სისისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება საომარი ოპერაციების გამო.**

– კარგით რა. რამდენიც უნდათ, იმდენი აღძრან. სანამ საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა, რაც უნდათ, ის გაუკეთებიათ: მათ ამგვარ გადაწყვეტილებას სამართლებრივი ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ საქართველოს დაიპყრობენ, რაც დღეს პრინციპულად გამორიცხებულია! ჩვენც გვაქვს შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო სასამართლო გამოვიყენოთ.

**შორენა კოწოწაშვილი**